ოქმი:**ო37. 37263064**

თარიღი:**02/11/2026**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის

პაატა კიღურაძის ანგარიშის მოსმენის სხდომის

ოქმი

2026 წელი, 27 ოქტომბერი

სოფელი ბაილეთი

16:00 -17:00-საათი

თავმჯდომარეობდა: დავით კიკვაძე-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეის პირველი მოადგილე.

ესწრებოდნენ: საკრებულოს წევრის ამომრჩევლები, კოლეგები, საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი პირები.

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარე დავით კიკვაძე მიესალმა დამსწრეთ, ამომრჩევლებს. აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება, განაცხადა, რომ პაატა კიღურაძე არის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე. საკრებულოს მაღალი პასუხისმგებლობის მქონე წევრი, იგი რეგულარულად ესწრება და აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს, ბიუროს, ფრაქციისა და კომისიების მუშაობაში, თითქმის ყოველდღიური კონტაქტი აქვს ამომრჩევლებთან, ზრუნავს მათი პრობლემების მოგვარებაზე.

საკრებულოს წევრმა პაატა კიღურაძემ საკრებულოს რეგლამენტის 131 -ე მუხლის შესაბამისად წარმოადგინა მის მიერ საანგარიშო პერიოდში როგორც საკრებულოს, ფრაქციასა და კომისიებში, ამომრჩევლებთან, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთობლივად გაწეული მუშაობის ანგარიში.განსაკუთრებულად ხაზი გაუსვა მაჟორიტარული ოლქის ტერიტორიაზე განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, ისაუბრა გამოწვევებზე, გადაუჭრელ პრობლემებზე.

ამომრჩევლებმაც და კოლეგებმაც მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ანგარიშს. აღნიშნეს, პ. კიღურაძე არის საკრებულოს აქტიური წევრი, მაღალი პასუხისმგებლობით და პროფესიონალურად უდგება ყოველ პრობლემას, კოლეგიურად, ურთიერთთანამშრომლობით აგვარებს პრობლემატურ საკითხებს,

წარმატებები უსურვეს მომავალ საქმიანობაში.

სხდომის თავმჯდომარე დ. კიკვაძე დაეთანხმა გამოთქმულ მოსაზრებებს და აღნიშნა, რომ ანგარიში სრულად პასუხობს რეგლამენტის მოთხოვნებს, უსურვა წარმატებები მომავალ საქმიანობაში.

ამომრჩევლების და დამსწრეთა საერთო აზრით, სხდომის თავმჯდომარის. დ.კიკვაძის წინადადებით, საკრებულოს წევრის ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად.

დავით კიკვაძე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

